ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №CNF-15

ქ. თბილისი 20 მაისი, 2019 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო," წარმოდგენილი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი დოლიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი"), იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №6, ს/კ#204911337,ტელ.2752352,სახელმწიფო ხაზინა,კოდი#TRESGE22,ა/ა #GE24NB0330100200165022

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

მეორეს მხრივ, **შპს „კერხერი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ ბათირაშვილის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი") იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ.N167; ტელ.:577301301, ს/კ: 404488826; სს "თი ბი სი ბანკი", კოდი# TBCBGE22, ა/ა # GE10TB7533036020100007.

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია **საწმენდი დანადგარის ნაწილები (CPV4295600-საწმენდი დანადგარების ნაწილები)** (შემდგომში "საქონელი") სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე–2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე;

1.2. შესყიდვა ხორციელდება ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის საჭიროებისათვის, კავკასიის ბუნების ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით, დღგ-ს ნაწილში;

1.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **147,25 (ას ორმოცდაშვიდი ლარი და 25 თეთრი)** ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების და გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს გათვალისწინებით).

2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და გარანტია

2.1. შესყიდვის ობიექტია: წყლის მაღალი წნევით სარეცხი აპარატის ნაწილები. მათი დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება იხ. ხელშეკრულების დანართში N1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი და მისი ქარხნული წუნის გამოვლენის შემთხვევაში, განახორციელებს ხარვეზის აღმოფხვრას გონივრულ ვადაში.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან, არაუგვიანეს 5(ხუთი) სამუშაო დღისა;

3.2.საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ.N167;

3.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

4. ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს ინსპექტირებას;

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის ინსპექტირების მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. ხელშეკრულების მოთხოვნებთან საქონლის შესაბამისობის დადგენა;

4.3. საქონლის ინსპექტირებას ახორციელებს ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს ეკონომიკური სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი გიორგი ბრეგვაძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად;

5.2. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ახორციელებს საქონლის მიღებას, ხოლო თუ საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით;

5.3 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს ეკონომიკური სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლევან კამლაძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშსწორებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის ქარხნული ხარვეზის აღმოფხრვა გონივრულ ვადებში;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), შემსყიდველს დაეკისრება პირსაგამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.3 ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. შემსყიდველის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2020 წლის 31 იანვრამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზების დამდები პირები, ამავდროულად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში აღნიშნულ მიმწოდებელთან.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“	შპს „კერხერი“
_____	_____
გიორგი დოლიძე თავმჯდომარის მოადგილე	ნიკოლოზ ბათირაშვილი დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № CNF-15; 20 მაისი, 2019 წელი

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები	გაწზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	წყლის მაღალი წნევით სარეცხი აპარატის HD 6/15 M *EU 25 მეტრი სიგრძის შლანგი Primoflex ¾"	ცალი	1	112,71	112,71
2	შლანგის გადასაბმელი ,,Profesional"	ცალი	1	12,08	12,08

ჯამი: 124,79 ლარი

საქონლის ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით შეადგენს 147,25 ლარს.

შემსყიდველი"

ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"

გიორგი დოლიძე
თავმჯდომარის მოადგილე

„მიმწოდებელი"

შპს ,,კერხერი"

ნიკოლოზ ბათირაშვილი
დირექტორი

LLIP AGENCY OF PROTECTED AREAS

Digitally signed by LLIP AGENCY OF PROTECTED AREAS
Date: 2019.05.20 16:27:36 +04'00'